<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №21-22, 31 მაისი, 1997, გვ. 15) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 21^1 – ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახური უფლებამოსილია მზღვეველის ან/და ადმინისტრატორების მიმართ გამოიყენოს ქვემოთ ჩამოთვლილი სანქციები, თუ მზღვეველმა ან რომლიმე ადმინსტრატორმა:

ა) დაარღვია ამ კანონის ერთ-ერთი დებულება ან სამსახურის ნებისმიერი ნორმატივი, ინსტრუქცია, წესი, მოთხოვნა, წერილობითი მითითება;
ბ) დაარღვია ანგარიშგების წარდგენის ვადა ან წარადგინა არასწორი ანგარიშგება და სხვა არაზუსტი ინფორმაცია;
გ) დაარღვია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.“

2. 22–ე მუხლის, მე–15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარდგენილ დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში წერილობით აცნობოს სამსახურს და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 7– სამუშაო დღის ვადაში.“

3. 33^4 -ე მუხლის, მე–10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. თუ არსებული თანხა არ არის საკმარისი ამ მუხლის მე–9 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის სრულად დასაფარავად, მაშინ ყველა შესაბამისი ვადადამდგარი რიგის მოთხოვნა უნდა დაიფაროს ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად, გარდა ამ მუხლის მე–9 პუნქტის ,,ა,, ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნისა, რომლებიც იფარება სრულად.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.